

# ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის

## მიმართულება ისტორია

XX საუკუნის 50-იანი წლების პერიოდიდან ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობის მიზნით ფართო მასშტაბით გაიშალა როგორც მტკნარი სასმელი, მინერალური და სამრეწველო წყლების საბადოების კვლევა-ძიების, ასევე ჰიდროტექნიკური, სატრანსპორტო, სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტების მშენებლობის სამუშაოები.

ქვეყნის წინაშე დადგა საბადოების ძებნა-ძიებისა და ექსპლუატაციის, სხვადასხვა სახის მშენებლობების პროექტების დამუშავებისა და ამ პროექტების შესაბამის დონეზე განხორციელების აუცილებლობა, რასაც თავის მხრივ განაპირობებდა შესაბამისი დარგების კვალიფიციური კადრებით - ჰიდროგეოლოგებით, ინჟინერ-გეოლოგებით, ჰიდროტექნიკოსებითა და მშენებლებით უზრუნველყოფა.

ჰიდროგეოლოგთა და ინჟინერ-გეოლოგთა კადრების აღზრდისა და ამ მიმართულებით ფუნდამენტური მეცნიერული კვლევების ჩატარების მიზნით 1954 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე, გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ იოსებ ბუაჩიძის თაოსნობით დაარსდა ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრა დადასაბამი მიეცა საქართველოში ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის სკოლის შექმნას.

ბატონი იოსებ ბუაჩიძე ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრას 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. მის შემდგომ კათედრას უძღვებოდნენ მისივე აღზრდილები, პროფესორები: დევი ჩხეიძე (1974-1991წ.წ.), ლია ვარაზაშვილი (1991-2001წ.წ.), ომარ ქუცნაშვილი (2001-2003წ.წ.) და უჩა ზვიადაძე (2003-2015 წ.წ.).

ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის დაარსების პირველი დღეებიდან ბატონი იოსებ ბუაჩიძის მხარდამხარ და მომდევნო ათწლეულების მანძილზე ჰიდროგეოლოგთა და ინჟინერ-გეოლოგთა მრავალი თაობის აღზრდაში მოღვაწეობდნენ პროფესორები: გულნარა ქართველიშვილი, ოლია მენტეშაშვილი, იოსებ ტულუში, გიორგი ჯაფარიძე, ანატოლი ნადარეიშვილი, ლია ვარაზაშვილი, დევი ჩხეიძე, ვაჟა ჭუმბურიძე, თამაზ ლორთქიფანიძე, უჩა ზვიადაძე, მერაბ ლაპიაშვილი, ირაკლი ლომინაძე, ზურაბ ვარაზაშვილი და დღეს უკვე ემერიტუსის სტატუსის მქონე პროფესორები: ბერდი ზაუტაშვილი, თამაზ ჯიქია, დავით როგავა, რომელნიც აგრძელებენ მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობას.



*ირაკლი ლომინაძე, ზურაბ ცომაია, თეიმურაზ კუცია, თამაზ ჯიქია, მანანა გაბეჩავა, სალომე ბობოხიძე, ლევან ჩხეიძე, ალექსანდრე იაშვილი, ზაზა წიკლაური, უჩა ზვიადაძე, იოსებ ტულუში, ვაჟა ჭუმბურიძე, ოლია მენტეშაშვილი, დევი ჩხეიძე, ლია ვარაზაშვილი, თამაზ ლორთქიფანიძე, ანატოლი ნადარეიშვილი*



*დევი ჩხეიძე, ირინა ასპისოვა, გელა ლობჯანიძე, ლია ვარაზაშვილი, კოტე ჯანჯღავა, თამაზ ლორთქიფანიძე, მილადა მურღულია, ანატოლი ნადარეიშვილი, ვაჟა ჭუმბურიძე, იოსებ ტულუში, ნელი დაბახიშვილი, ოლია მენტეშაშვილი, იოსებ ბუაჩიძე, გიორგი ჯაფარიძე, გულნარა ქართველიშვილი*



*თამაზ ლორთქიფანიძე, დევი ჩეიძე, ლია ვარაზაშვილი, ბერდი ზაუტაშვილი, ვაჟა ჭუმბურიძე*



*მერაბ ლაპიაშვილი, თამაზ ჯიქია, ვაჟა ჭუმბურიძე, დევი ჩხეიძე,  
ანატოლი ნადარეიშვილი, ლია ვარაზაშვილი*

ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის პირველი გამომწვევა 24 სპეციალისტის სახით, შედგა 1960 წელს. მას შემდეგ 2003 წლამდე სტუდენტთა დაყოფა ჰიდროგეოლოგებად და

ინჟინერ-გეოლოგებად ხდებოდა ბოლო კურსზე, მათი სურვილის გათვალისწინებით და არჩეული სპეციალობით დაცული სადიპლომო ნაშრომების მიხედვით. ყოველწლიურად იცვლებოდა გამოშვებულ სპეციალისტთა რაოდენობა. კურსდამთავრებულთა მაქსიმალური რაოდენობა - 45 სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგი -დაფიქსირდა 1975 წელს. სტუ-ს საარქივო მონაცემებით, დაარსებიდან 2017 წლამდე კათედრამ გამოუშვა ათასამდე სპეციალისტი.

სამეცნიერო კადრების მომზადებასთან ერთად კათედრაზე დიდი ყურადღება ეთმობოდა ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობას, რომელზეც რეგულარულად ხდებოდა ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის თეორიული პრობლემებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების განხილვა. სემინარებში გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა დამწყები სპეციალისტებიც, რის შედეგადაც კათედრა საქართველოში ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მაკოორდინირებელ სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის პრობლემატიკაზე კათედრის ბაზაზე სამი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.

კათედრის თანამშრომელთა მოღვაწეობაში თავიდანვე გამოიკვეთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მჭიდრო კავშირი საწარმოო-პრაქტიკულ საქმიანობასთან. ქვემოთ წარმოდგენილია იმ პროექტების არასრული ჩამონათვალი, რომლებშიც კათედრის წევრები მონაწილეობდნენ:

- ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს შესწავლა და ათვისება;
- საქართველოში არტეზიული აუზების გამოყოფა;
- საქართველოში მიწისქვეშა წყლების მარაგების შეფასება;
- თბილისის წყალმომარაგების საკითხები;
- კოლხეთის დაბლობის მელიორაცია;
- აღმოსავლეთ საქართველოს საირიგაციო სისტემები;
- ხრამის ჰიდროკომპლექსის საინჟინრო-გეოლოგიური უზრუნველყოფა;
- სასარგებლო წიაღისეული საბადოების საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევა;
- ძირულის კრისტალური მასივის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა;
- ენგურის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის საინჟინრო გეოლოგიური შესწავლა;
- თბილისის მეტროპოლიტენის საინჟინრო-გეოლოგიური უზრუნველყოფა;
- თბილისის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური რუკა;
- შავი ზღვის შელფის კვლევა;
- კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის ვარიანტების საინჟინრო-გეოლოგიური შეფასება და სხვ.



*პროფ. უ. ზვიადაძე პროექტიკის მონაწილეებს ბორჯომის საბადოს გენეზისის შესახებ არსებულ თანამედროვე მოსაზრებებზე ესაუბრება*



*პროფ. ბ. ზაუტაშვილი და პროფ. უ. ზვიადაძე სტუდენტთა ჰიდროგეოლოგიურ პროექტის კაზანში*



*რკინის შემცველი მინერალური წყლის მკაფიო ნაკვალევი თოვლით დაფენილ მინდორზე*



*მუხრანის წყალამღების უხვდებიტიანი ჭაბურღილი*

ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრასთან სისტემატიურად თანამშრომლობდნენ ცნობილი სპეციალისტები, გამოცდილი პედაგოგები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის განვითარებაში, აღზარდეს მრავალი კვალიფიციური სპეციალისტი, შექმნეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები და აამაღლეს კათედრის ავტორიტეტი. მათგან გამორჩეული ადგილი უკავია პროფესორ ვალერი ლომთაძეს, რომელიც ხუთი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდასანკტ-პეტერბურგის სამთო

ინსტიტუტში და სამართლიანად ითვლება თანამედროვე საინჟინრო-გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

გასული ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში კათედრის თანამშრომელთა მიერ გაწეულ დიდ სამეცნიერო-კვლევით და საწარმოო-პრაქტიკულ საქმიანობაზე მიუთითებს მათ მიერ გამოცემული 1000-ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა, საერთაშორისო და ადგილობრივი მასშტაბის სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა.

## კათედრის თანამშრომელთა მიერ გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების არასრული ნუსხა

### სახელმძღვანელოები

1. ბ. ზაუტაშვილი. ზოგადი ჰიდროგეოლოგია, *თსუ-ს გამომცემლობა „სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის“*, თბილისი, 1997, 246 გვ.;
2. უ. ზვიადაძე. სარწყავი მასივების მელიორაციული ჰიდროგეოლოგია. *გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი"*. 1998წ. 9992836-32-6.
3. ბ. ზაუტაშვილი. ჰიდროგეოქიმია, *გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი"*, თბილისი, 2001, 110 გვ.;
4. ბ. ზაუტაშვილი. რეგიონალური ჰიდროგეოლოგია. *გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი"*, თბილისი, 2003, 124 გვ.;
5. უ. ზვიადაძე, მ. მარდაშოვა. ჰიდრავლიკის კურსი. *საგამომცემლოსახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი"*. 2005წ. ISBN 99940-48-28-7.
6. ბ. ზაუტაშვილი, ბ. მხეიძე. საქართველოს ჰიდროგეოლოგია. *გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“*, თბილისი, 2011, 188 გვ.;
7. უ. ზვიადაძე, მ. მარდაშოვა. საინჟინრო გეოლოგია. *გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი"*. 2012წ. ISBN 978-9941-20-130-1.
8. მ. ლაპიაშვილი. ფერდობის მდგრადობის საანგარიშო მეთოდები. *გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“*, თბილისი 2013, 59 გვ.;
9. მ. ლაპიაშვილი. გრუნტმცოდნეობა საინჟინრო პეტროლოგია. *გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“*, თბილისი 2013, 223 გვ.;
10. უ. ზვიადაძე, მ. მარდაშოვა. მიწის ქვეშაწყლების დინამიკა. *გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი"*. 2013წ. ISBN .
11. უ. ზვიადაძე. ჰიდროგეოლოგიური კვლევის მეთოდები. *გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი"*. 2013წ. ISBN 978-9941-20-305-3 .
12. მ. ლაპიაშვილი. საინჟინრო გეოლოგია. *გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“*, თბილისი 2014, 238 გვ.

### მონოგრაფიები

1. ბ. ზაუტაშვილი. „სსრკ-ის ჰიდროგეოლოგია“ ტომი X, საქართველოს სს რესპუბლიკა, გამომცემლობა „ნედრა“, მოსკოვი (რუსულ ენაზე), 1970;

2. ბ. ზაუტაშვილი. „კოლხეთის დაბლობი“ (ბუნებრივი პირობები და სოცალურ-ეკონომიკური ასპექტები), გამომცემლობა „გიდრომეტეზდატი“, ლენინგრადი (რუსულ ენაზე), 1989;
3. ბ. ზაუტაშვილი. „საქართველოს ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლების მიკროელემენტების გეოქიმია“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი (რუსულ ენაზე), 1978
4. ბ. ზაუტაშვილი. „საქართველოს მადნეულ საბადოთა ჰიდროგეოქიმია“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი (რუსულ ენაზე), 1984;
5. ბ. ზაუტაშვილი. „საქართველოს სასმელ-სამკურნალო და ბალნეოლოგიური რესურსების რუკა“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 1997
6. მ. მარდაშოვა. ნ. კველიძე. გამოფიტვის პროცესების ზეგავლენა ქ. თბილისში ზედა ეოცენური ქანების ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებზე. მონოგრაფია. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009 წ.
7. ბ. ზაუტაშვილი. „საქართველოს ჰიდროგეოლოგიური რუკა“, მ. 1:1000000, საქართველოს ეროვნული ატლასი, საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2012
8. ბ. ზაუტაშვილი. „საქართველოს მინერალური წყლების რუკა“, მ. 1:1000000, საქართველოს ეროვნული ატლასი, საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2012.

ამჟამად, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულებაზე მოღვაწეობენ: პროფესორები - მარინე მარდაშოვა, ზურაბ კაკულია; ასოცირებული პროფესორები - ხათუნა ავალიანი, ნანა ზაუტაშვილი, ლევან გორგიძე; ასისტენტ პროფესორი ნანა ქიტიაშვილი; მოწვეული თანამშრომლები - ნატალია გაჩეჩილაძე, ზურაბ ცომაია, გიორგი მელიქაძე, გიორგი გაფრინდაშვილი, ჯუანშერ ტატიშვილი; დამხმარე ტექნიკური პერსონალი - ცისანა კვერნაძე, თამარ ნანობაშვილი.

ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის მიმართულების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ პროფესიულ საქმიანობას სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, შპს „ჯეოინჟინერინგში“, შპს „გამა-კონსალტინგში“, შპს „გეოტექსერვისში“ და სხვ.

მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები ზრუნავენ ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიაში ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების - მაგისტრანტებისა და დოქტორების აღზრდაზე, თანამედროვე ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რაც აღნიშნული სპეციალობების მეცნიერული დარგების განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.